



# PRESS RELEASE

**დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის**  
**18 სექტემბერი, 2015**

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ:  
მაკა ნოსელიძეს – USAID/REAP საზოგადოებასთან  
ურთიერთობის სპეციალისტი  
ტელ: 591192919; ელ.ფოსტა: [mnoselidze@georgiareap.org](mailto:mnoselidze@georgiareap.org)

## ოფიციალური გახსნის ცერემონიალი შპს „ჯეოფლაუერი“ საშრობი საწარმო

ამა წლის 15 ოქტომბერს, 16:00 საათზე, ამბროლაურში, რაჭის რეგიონში USAID/REAP-ს მიერ დაფინანსებული ახალი საშრობი საწარმოს გაიხსნა. გახსნის ცერემონიალს დაესწრნენ USAID-ის და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.

ლენტის გაჭრის ცერემონიალის შემდეგ საწარმოს მფლობელმა გოჩა ძნელაძემ სტუმრებს დაათვალიერებინა საწარმო და გააცნო წარმოების პროცესი.

REAP-ს დახმარებით კომპანიამ შეძლო არსებული გადამამუშავებელი ხაზის განახლება, და ახალი თანამედროვე ტიპის გადამამუშავებელი და სამაცივრე მეურნეობის დაარსება, რომლის საშუალებით კომპანია შეძლებს წარმოებას დაამატოს ველური ხილის, ციტრუსების, სამკურნალო მცენარეების და ძირხვევნების შრობა და დასაწყობება.

USAID/REAP-ს მიერ გაწეული ინვესტიციით მოხდა ხილისა და სამკურნალო მცენარეების სარეცხი ხაზის, კურკის გამცლელი დანადგარის, ხილის, სამკურნალო მცენარეების და ძირხვევნების დამჭრელის, ძირხვევნების საშრობის, სამაცივრე დანადგარების და საინსპექციო ხაზის შექმნა.

ბ-ნი გოჩა ძნელაძის თანამონაწილეობით დაიფარა შენობის მშენებლობის ძირადი ხარჯები, შექმნილ იქნა ახალი დანადგარები, ნარჩენი წყლების გადამამუშავებელი სისტემა, ნედლეული, შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები. პროექტის განხორციელების პერიოდში 120 ფერმერი შეაგროვებს და ჩააბარებს ხილს, სამკურნალო მცენარეებს და ძირხვევნებს. 2014 წელს 80-მა ახალმა ფერმერმა უკვე ისარგებლა ჯეოფლაურთან თანამშრომლობით ნედლეულის მიწოდების სახით.

###

**USAID საქართველოში:** ბოლო 22 წლის განმავლობაში ამერიკელმა ხალხმა USAID-ის მეშვეობით 1.5 მილიარდ დოლარზე მეტი დახმარება გაუწია საქართველოს. USAID-ს მიერ განხორციელებული პროექტები მიზნად ისახავს, დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალ დემოკრატიაზე გადასვლის პერიოდში. მათი ინიციატივის შედეგით ჩქარდება ეკონომიკის ზრდა, ვითარდება დემოკრატიული ინსტიტუტები და უმჯობესდება ჯანდაცვისა და განათლების სფეროები. USAID 100-ზე მეტ ქვეყანას უწევს ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ საიტს - <http://georgia.usaid.gov>